პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 114 (7175)

16 ივნისი, 1982 წ. ოთხშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შრომითი სემესტრი -82

20 ივნისი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა თავიანთი ხმა მისცენ ხალხის რჩეულთ.

საქართველოში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისთვის მზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა, ამ დარგის მუშაკებმა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირნათლად ასრულებდა აგიტატორის როლს. ისინი მშრომელებს, მოსახლეობას განუმარტავდნენ საბჭოთა საარჩევნო სისტემას.

ერთი ახეთთაგანია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი, ინსტიტუტისა, რომლის შენობაში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მეთხუთმეტე საარჩევნო უბანია მოთავსებული.

ამ სურათზე აღბეჭდილია ინსტიტუტის აგიტატორთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ნ. ბიწაძე, ნ. იოსებაშვილი, დ. ახალაძე, გ. ბაკურაძე, ე. კანდელაკი და ი. ჩხიკვიშვილი უბნებში მორიგი გასვლის წინ.

ე. ხუცურაულის ტექსტი და ფოტო.

გზა დაგელოცოთ

კვირას, 13 ივნისს, მოსწავლეთა ჟრიამული რომ ავსებდა რკინიგზის ვაგზალს, არავის გაჰკვირვებია. უკვე მეათე წელია თბილისელი მოსწავლეები ზაფხულობით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მიემგზავრებიან სამუშაოდ.

საზეიმო ხაზზე გამწკრივებულა ორჯონიკიძის რაიონის 17 სკოლის 700-მდე მოსწავლე. ყოველ რაზმს საგულდაგულოდ შერჩეული სახელი და დევიზი აქვს. ისინი მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების მშრომელებს დაეხმარებიან ჩაის კრეფაში. მოსწავლეები პირობას დებენ, რომ ბეჯითად იმუშავებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის შრომითს საქმიანობაში. 20 ივნისს — არჩევნების დღეს გამომუშავებულ თანხას ისინი მოსწავლეთა და კომკავშირული აქტივის საკავშირო ბანაკის მშენებლობის ფონდში გადარიცხავენ.

ნორჩები სამუშაოს დამთავრების შემდეგ მრავალფეროვან ღონისძიებებს გამართავენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ფიზკულტურასა და სპორტს.

გზა დაგელოცოთ მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეებო. აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ მშობლიურ სკოლას.

* * *

სურათზე: საზეიმო ხაზი თბილისის ვაგზლის წინ.

ვ. გენგიურის ფოტო.

სსრ კავშირის 60 წლის თავს მიეძღვნა

საპატიო მეორე ადგილზე

რუსთავში, საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ ბაზაზე დამთავრდა ავტომანქანების მძღოლთა პროფესიული ოსტატობის VII საკავშირო კონკურსის ფინალური ასპარეზობა ფიგურულ ტარებაში, მანქანის ეკონომიურ მართვაში, საგზაო ნიშნების ცოდნასა და დაზიანების შეკეთებაში.

ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის გამოხატულება იყო. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები მეტალურგთა ქალაქში ოთხ დღეს უზიარებდნენ ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას.

თავდაპირველად სარბიელზე „ვოლგის" კლასის მანქანები გამოვიდნენ. ქალთა შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვა ა. პოპოვამ. თბილისელი ლ. სმირნოვა მეხუთე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, ვაჟთა შორის გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა თბილისის მსუბუქი ტაქსების № 3 საწარმოოს მძღოლმა **ე. აბდულაევმა** და ჩემპიონის წოდება დაიმსახურა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ამავე საწარმოს თანამშრომელმა **ა. ნატრაძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მასპინძლები ამით არ დაკმაყოფილებულან — „გაზ-52" კლასის მანქანებით თბილისის მე-3 მსუბუქი ტაქსების პარკის შოფერმა **რ. მაისურაძემ** ასევე ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი, „ოქრო" კი წილად ხვდა ვ. იგნატოვს (უკრაინა).

გაცილებით უკეთესად იასპარეზა № 7 სამგზავრო ავტობუსების თბილისის საწარმოს თანამშრომელმა **ჯ. მაძღარაშვილმა**, რომელიც „ლაზ-695" მარკის მანქანებით ტურნირში ოდნავ ჩამორჩა რსფსრ-ს

(დასასრული მე-4 გვ.).

სარდლის მემორიალის ექო

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 4-10 მაისს ბათუმში მიმდინარეობდა VI საკავშირო ტურნირი ჭიდაობაში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნას.

ამ დღეებში აჭარის საოლქო კომიტეტის, საქართველოს სპორტკომიტეტისა და სპორტის ვეტერანთა საბჭოს სახელზე დნეპროპეტროვსკის მე-18 არმიის ვეტერანთა საბჭოს სექციიდან მოვიდა წერილი, რომელშიც ლესელიძის თანამებრძოლები მადლობას უხდიან ტრადიციული მემორიალის მომწყობთ.

„ტურნირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს და მთელი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებად იქცა. წინა ხუთ მემორიალთან შედარებით იგი ყველაზე წარმომადგენლობითიც იყო — მასში მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ლვოვის, ნოვოსიბირსკის, ხაბაროვსკის და სხვა ქალაქების 200-ზე მეტი მოჭიდავე. მათგან 7-მა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. ტურნირის საპატიო მსაჯი იყო მხედართმთავრის ქალიშვილი იზოლდა ლესელიძე.

მემორიალი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, ჩატარდა მაღალ სპორტულ და პროფესიულ დონეზე, გვიჩვენა მოჭიდავეთა მზარდი ოსტატობა, სპორტის მასობრიობა რესპუბლიკაში, ქვეყანაში.

ვეტერანთა გულთბილი, მხედრული მადლობა, თქვენ, ტურნირის ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს.

ვუსურვებთ ქართველ სპორტსმენებს, მზიური საქართველოს ყველა მშრომელს დიდ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით და მადლიერების გრძნობით: ქ. დნეპროპეტროვსკის მე-18 არმიის ვეტერანთა ბიუროს თავმჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი მიხეილ მიაგკოვი,

ქ. კიევის მე-18 არმიის ვეტერანთა ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი მიხეილ კუშნირი,

ქ. იალტის მე-17 გვარდიის ვეტერანთა ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, თადარიგის ლეიტენანტი ანატოლი ფიოდოროვი".

XII მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

ESPAÑA 82

13.	VI.	არგენტინა–ბელგია	0:1
14.	VI.	იტალია–პოლონეთი	0:0
14.	VI.	ბრაზილია–სსრ კავშირი	2:1

დღეს თამაშობენ:

გფრ — ალჟირი
ინგლისი — საფრანგეთი
ესპანეთი — ჰონდურასი

იხ. მე-8 გვ.

ვიდრე სასწავლო წელი დაიწყება

გამორჩეული გონიერებით, სპორტული ნიჭიერებით

ცხოვრებამ მოიტანა და ჩვენი ქვეყნის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაიწყო ზოგიერთი დისციპლინის გაძლიერებული სწავლება. ასეთი ზოგან მათემატიკაა, ზოგან — მშობლიური ენა, ზოგან — უცხო ენა, ზოგან — ისტორია...

ასევე ცხოვრებამ მოიტანა და ჩვენში უკვე კარგა ხანია არსებობს სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი, რომელმაც უკვე არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზარდა.

...თითქმის 16 ჰექტარი ფართობი უკავია გლდანის სკოლა-ინტერნატს, სადაც ახლა დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს: 450-ზე მეტი ბავშვისთვის შენდება სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსი, ყოფილი ადმინისტრაციული და ყაზარმული ტიპის საძინებელი კორპუსები გადაკეთდა და იქ მეტი სიმყუდროვეა. ისინი ერთმანეთს მიწისქვეშა გვირაბით დაუკავშირდება. მათ მახლობლად იქნება კვების ბლოკი, ხოლო ყოფილი სასადილოს ტერიტორიაზე შენდება სამსართულიანი ნაგებობა. მის პირველ სართულზე მოთავსდება სპორტდარბაზი საერთო ფიზიკური მომზადებისთვის, მეორეზე — ლაბორატორიებით და კინოდანადგარებით აღჭურვილი სპორტკლუბი, ხოლო მესამეზე — სააქტო დარბაზი 350 მაყურებლისთვის. აქვე განლაგდება დამხმარე მეურნეობა — საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტები.

ასეთი მშრალი ჩამოთვლა, შესაძლოა, ბევრს არაფერს ეუბნება მკითხველს, განსაკუთრებით მას, ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს ეს გრანდიოზული მშენებლობა, მაგრამ თუ ნათლად წარმოიდგენს ყველაფერ ამას და, რაც მთავარია, გაითვალისწინებს იმ დიდ, კეთილშობილურ მიზანს, რასაც ეს სკოლა-ინტერნატი უნდა მოემსახუროს, მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება.

დღეისათვის სკოლაში არის ფეხბურთის, ჭიდაობის (ძიუდო, თავისუფალი და კლასიკური სტილის), ფარიკაობის, მძლეოსნობისა და ნიჩბოსნობის (აკადემიური და ბაიდარებითა და კანოეთი) განყოფილებები, სადაც 310 სპორტსმენი ოსტატდება. მათგან 4 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატია, 42 — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 66 — პირველთანრიგოსანი, 60 — მეორეთანრიგოსანი და ა. შ.

გვესაუბრება სკოლა-ინტერნატის დირექტორი ოთარ გაგუა:

— ჩვენი მუშაობის უმთავრესი პრინციპი ის არის, რომ სწორად შევარჩიოთ სკოლაში მისაღები კონტიგენტი. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილში მძლავრად არის გამჯდარი აზრი იმის შესახებ, რომ ინტერნატი ჩვენი ცხოვრებისათვის ანაქრონიზმია. ამიტომ, როცა მისაღებ კონტიგენტზე ვლაპარაკობთ, შეიძლება ბევრი მშობელი შემოგვედაოს — რა განსაკუთრებული მონაცემების ბავშვები თქვენ გჭირდებათ, ჩვეულებრივი სკოლა სჯობს ინტერნატსო. მაგრამ ამჯერად უპირატესობაზე ნუ ვილაპარაკებთ. ერთი კია, რომ ჩვენ გვჭირდება მართლაც საგანგებოდ შერჩეული ყმაწვილები, რომლებიც უნდა გამოირჩეოდნენ როგორც გონიერებით, ისე სპორტული ნიჭიერებით.

სკოლაში მუშაობს მიმღები კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორი (თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილეები, განყოფილებათა გამგეები, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, სამედიცინო აპარატის თანამშრომლები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სახალხო განათლებისა და სპორტკომიტეტის წარმომადგენლები. შესაფერისი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდებს მხოლოდ სპეციალური საკონტროლო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ეძლევათ უფლება დაიწყონ სწავლა ამ სკოლა-ინტერნატში.

სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებს 41 მწვრთნელი ხელმძღვანელობს, მათ შორის ერთი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელია, ხოლო 10 — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ჩვენი აღსაზრდელები მონაწილეობენ საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, სპორტსაზოგადოებათა პირველობებში, ყალიბდება სასწავლო-საწვრთნელი ნაკრები. როგორც წესი, სავალდებულოდ ითვლება სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ საკავშირო შეჯიბრებაში, რესპუბლიკის პირველობაში, სხვადასხვა ასაკის სპორტსმენთა ტურნირში „ოლიმპიური იმედი“.

ბევრი სპორტული გამარჯვება უზეიმიათ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს. გასული წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობდა სკოლა-ინტერნატის 120 აღსაზრდელი, რომელთაგან 16-მა სხვადასხვა სინჯის მედალი დაიმსახურა. არაერთხელ ისახელეს თავი თანატოლებს შორის გამართულ ასპარეზობებში მოჭიდავეებმა ზაზა თურმანიძემ და ზაურ ივანიშვილმა, მძლეოსნებმა მაია აზარაშვილმა და ავთანდილ ქორიძემ, მოკრივე იური სავოჩკინმა და სხვებმა. ფეხბურთელთა გუნდი სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა, ხოლო თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ერევანში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში II ადგილი დაიკავეს.

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გამო სკოლა-ინტერნატმა დროებით ნინოშვილის ქუჩაზე, განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის შენობაში დაიდო ბინა. ამიტომ სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები თბილისის სხვადასხვა ბაზაზე მიმდინარეობს და, ამდენად, ინტერნატის ხელმძღვანელობას საშუალება არა აქვს დროებითი ბაზები მაღალხარისხოვანი ინვენტარით მოამარაგოს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოფარიკავეთა, მძლეოსანთა, ძიუდოისტთა და ნიჩბოსანთა ვარჯიშები კარგად აღჭურვილ სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს. მოვარჯიშეები უზრუნველყოფილი არიან ფინური აბანოსაუნით, ჰიდრომასაჟით, სხვა პედაგოგიური და სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებებით.

რეჟიმი ითვალისწინებს დღეში ორჯერად ვარჯიშს, ამასთან, ძირითადად სასწავლო-საწვრთნელი დატვირთვა დილის საათებზე მოდის. შუადღისას ტარდება გაკვეთილები ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში, საღამოს კი მიმდინარეობს ინდივიდუალური წვრთნა.

— ჩვენს სისტემაში ერთი საყურადღებო სირთულე არსებობს, — განაგრძობს საუბარს ოთარ გაგუა. — რაკი სკოლა-ინტერნატის მუშაობის ციკლი წლიურია, ზაფხულისთვის აუცილებლად გვჭირდება მუდმივმოქმედი ბანაკი. მიმდინარე ზაფხულს ჩვენი აღსაზრდელები ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში გაატარებენ. და საერთოდ, ყოველი საბანაკო შეკრებისათვის გვიწევს შენობის დაქირავება, მაგრამ ჩვენი სკოლის სპეციფიკის გამო საშუალება არ გვაქვს სრულყოფილად, ინტენსიურად ვივარჯიშოთ ზაფხულშიც, ამის გამო ციკლი რამდენიმე წყდება, რაც გარკვეულად მოქმედებს ჩვენს სპორტულ შედეგებზეც. კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი: ყველას კარგად მოეხსენება, რომ სკოლა-ინტერნატი დამოუკიდებელი, იზოლირებული დაწესებულებაა. ამის გამოა, რომ მშენებლობა-რეკონსტრუქციის შემდეგ ჩვენი სკოლა იქნება ერთგვარი პატარა „ქალაქი“, რომელსაც ყველაფერი საკუთარი ექნება. სწორედ ამ მიზნით შემოვღობეთ ტერიტორია ბეტონის დიდი, ყრუ ღობით, მაგრამ შიგნით მაინც არის „უცხო სხეული“ — ორსართულიანი შენობა, სადაც ჩვენი სკოლა-ინტერნატის ყოფილი მასწავლებლები, ამჟამად პენსიონერები ცხოვრობენ. ალბათ დროა, ქალაქის საბჭომ ბინებით დააკმაყოფილოს ამ კორპუსის მობინადრენი.

სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა ძალზე ქმედით და საჭირო ღონისძიებებს ატარებს სკოლის ავტორიტეტის ასამაღლებლად. უკანასკნელ ხანს ძირფესვიანად შეიცვალა მიღების წესები: სასელექციო განყოფილება უნარიანად უძღვება საქმეს — სკოლაში უნდა მოხვდნენ მხოლოდ ღირსეულნი. ამისათვის სელექციონერები დადიან რაიონებში, ამოწმებენ, სინჯავენ ახალგაზრდებს, ჩამოჰყავთ საწვრთნელ შეკრებაზე და დაკვირვების შემდეგ გამოაქვთ დასკვნა.

სპორტული სკოლა-ინტერნატისათვის ძალზე მომგებიანია 11-წლიანი სწავლებაო, ამბობენ სკოლის ხელმძღვანელები და ამ ცოტა ხნის წინ მიაღწიეს კიდეც საწადელს— სკოლა 11-წლიან სწავლებაზე გადავიდა.

...ომარ ფხაკაძე, მიხეილ სალაძე, შოთა ხიხჩაგაშვილი, გაა თავაძე და კიდევ ბევრი სასახელო სპორტსმენი დაფრთიანებულა ამ სკოლა-ინტერნატში, ამჟამადაც არაერთი იმედისმომცემი ახალგაზრდა და ზოგიც უკვე ჩამოყალიბებული სპორტსმენი სწავლობს აქ. მშენებარე სტადიონი ორმხრივი ტრიბუნებით, საჭიდაო დარბაზი, დახურული საცურაო აუზი და სამდარბაზიანი საჭიდაო კომპლექსი ემსახურება აქ ახალგაზრდებს. მალე მწყობრში ჩადგება 180 მ სიგრძის მძლეოსნობის მანეჟი, განახლებულ-რეკონსტრუირებული საცხოვრებელი და ადმინისტრაციული კორპუსებიც.

...ცაში ასულა ნაძვები, ფიჭვები, ჭადრები, კიპარისები. ირგვლივ ისეთი სიმწვანე და სურნელია, მკვდარი გაცოცხლდება. ამ სიხასხასეში მუყაითად შრომობენ მშენებლები (საქართველოს სოფლმშენის სამინისტროს № 1 ტრესტი; მმართველი — დემურ კოვზირიძე) და განათლების სამინისტროს სპეციალიზებული სამშენებლო-სარემონტო კანტორა (უფროსი — იუზა იტრიაშვილი) და, როგორც თავად ირწმუნებიან, 1 სექტემბერს სკოლა-ინტერნატი საკუთარ ჭერქვეშ მოუხმობს თავის აღსაზრდელებს.

მინაწერი: ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ორთვენახევარი დარჩა: „ლელო“ კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მშენებლობის საკითხს.

ნ. ჯოხარიძე.





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გლდანის სკოლა-ინტერნატის მშენებარე სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსი; ასეთი დეკორატიული ბეტონის ფილებით იქნება შემოღობილი სკოლა-ინტერნატის ტერიტორია.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სპორტული დუშეთი

●

საკავშირო ტურნირზე სნეგირიოვკაში

უკრაინის ქალაქ სნეგირიოვკაში გაიმართა 1967-69 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ვედენკოს პრიზზე, რომელიც მიეძღვნა ქ. სნეგირიოვკის დაარსების 170 წლის თავს.

ტურნირში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ ლენინგრადის, კიევის, კრასნოიარსკის, აშხაბადის, ნიკოლაევის, ხარკოვის, ოდესის, კიშინიოვის, მაიკოპის, ბაქოს, დუშანბესა და სხვა ქალაქების ნაკრები გუნდები. ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში პირველად გამოვიდა დუშეთის ბავშვთა სპორტული სკოლის ნაკრები (მწვრთნელი ვ. გელიაშვილი). დებიუტი წარმატებული გამოდგა: სამი დუშელი მოჭიდავე ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე — მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ჯ. მელიწკაურმა (40 კგ), დ. წიკლაურმა (45 კგ) და ა. ძავაშვილმა (62 კგ).

საერთო გუნდურ ჩათვლაში დუშელი მოსწავლეები IV ადგილზე გავიდნენ.

„იმედის სტარტები“

დუშეთის სტადიონზე გაიმართა საკავშირო სპორტული თამაშების, „იმედის სტარტების“ მეორე ეტაპის შეჯიბრება სარაიონო პირველობაში. მონაწილეობდნენ მე-4-5 და მე-6-7 კლასების მოსწავლეები. პროგრამაში იყო 60 მეტრზე რბენა, ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა, ძელზე მიზიდვა, კროსი 300 და 500 მეტრზე.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სოფელ მჭადიჯვრის და დუშეთის მე-2 საშუალო სკოლის სპორტსმენები.

ფრენბურთის ბადესთან

დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის ვაჟთა პირველობამ ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 კოლექტივი.

ფშანაურის საშუალო სკოლის გუნდმა ყველა მეტოქე ადვილად დაამარცხა და I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდნენ დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები, III — ჰოპორტის საშუალო სკოლის ფრენბურთელები.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის“ პრიზზე ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. ორივე ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები.

1967-1968 წლებში დაბადებულთა შორის II ადგილი დაიკავეს დუშეთის მეორე საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა, III ადგილზე გავიდნენ დუშეთის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეები.

1969-1970 წლებში დაბადებულთა შორის II და III საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ჰოპორტისა და დუშეთის მე-2 საშუალო სკოლის გუნდებს.

ა. სიანაიძე.

მივიწყებული საჭიდაო სარბიელი

ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს ბევრი ახალი წამოწყება ცვლის ძველსა და დრომოჭმულს, ბევრი დავიწყებული კარგი ტრადიცია განახლდა და აღორძინდა. მათ შორის თვალსაჩინო ძვრები შეიმჩნევა ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში. მას შემდეგ, რაც ქართულ ჭიდაობას სათავეში ჩაუდგა საქართველოს 11-გზის ჩემპიონი და არაერთგზის ფალავანი სიმონ მაისურაძე, საინტერესო შეხვედრები იმართება რესპუბლიკის ქალაქებსა თუ სოფლებში, სიახლე შეიმჩნევა შეჯიბრებათა ჩატარების ორგანიზაციაში, მის მასობრიობაში. ამის მაგალითს წარმოადგენს შარშან თბილისში ჩატარებული საქართველოს პირადგუნდური პირველობა და განსაკუთრებით აბსოლუტური პირველობა. სოფლის ბევრ მივიწყებულ სარბიელზეც დაიყარა ნახერხი და აზმაურდა დოლი და ზურნა. ბევრმა საოცარი შემართება გამოავლინა ამ საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველა რაიონზე როდი ითქმის.

1623 წელს საციხის ბრძოლების მოწმეს, დიდი ტრადიციების მქონე სოფელ **მარტყოფს** 1983 წლის ოქტომბერში 2000 წელი უსრულდება. მის საჭიდაო სარბიელზე წარსულში აღზრდილი ფალავნები ო. შინჯიკაშვილი, გ. კახაბრიშვილი, ნ. და მ. ზაზუნიშვილები, ნ. სალთხუციშვილი, ნ. ლუჰაშვილი, ნ. მათიაშვილი, გ. შინჯიკაშვილი, ზ. ოშაყმაშვილი, რ. ბერუაშვილი, ნ. მათიაშვილი, რ. კობიაშვილი, რ. შპეტიშვილი, ა. ივანაშვილი და სხვები რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც გამოირჩეოდნენ ქართული ჭიდაობის უბადლო ტექნიკით. დღეს კი აქ აღზრდილ ვაჟკაცებს იმის საშუალებაც არა აქვს, რომ „საჭიდაო კალოზე“ უცქირონ თავიანთ შემცვლელ თაობას.

20-25 წლის წინათ ამ დიდი სოფლის ცენტრში ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა ჭიდაობა, ახლა კი ნახერხმოყრილი საჭიდაო ჯართის შესაგროვებელ ადგილად ქცეულა. მთელი დღის განმავლობაში რომელ უბანში არ შეხვდებით უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდებს, რომლებიც მოზღვავებულ ენერგიას უმიზნოდ ხარჯავენ.

სად არიან სოფლის თავკაცები? დიდი ეროვნული ტრადიცია რატომ ეძლევა დავიწყებას? ნუთუ მარტყოფელები სოფლის 2000 წლისთავს ქართული ჭიდაობის გარეშე იზეიმებენ?

რ. კრიჭინაშვილი.

ESPAÑA 82 ESPAÑA 82 ESPAÑA 82

ღირსეულ მეტოქეთა მატჩი

დაიწყო თამაშები მსოფლიო ჩემპიონატის VI ჯგუფში, სადაც ჩვენი ფეხბურთელებიც გამოდიან. 14 ივნისს სევილიის „სანჩეს პისხუანის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდები.

მეტოქეები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე: **ბრაზილია** — პერესი, ლეანდრო, ოსკარი, ლუიზინიო, ჟუნიორი, ფალკაო, სოკრატესი, ზიკო, სერჟინიო, ედერი; **სსრ კავშირი** — დასაევი, სულაქველიძე, ჩივაძე, ბალტაჩა, დემიანენკო, დარასელია, ბესონოვი, ბალი, შენგელია, გავრილოვი, ბლოხინი. მსაჯობდა ესპანელი არბიტრი ა. კასტილიო.

ეს მატჩი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბევრს მოელიან ამ ჩემპიონატზე, ხოლო ბრაზილიელები ერთხმად აღიარებული ფავორიტები არიან. თამაში, მართლაც, მეტად საინტერესო, დაძაბული და შეუპოვარი გამოდგა.

პირველ ტაიმში გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ბრაზილიელებს ჰქონდათ, რომლებიც ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით სჯობდნენ მეტოქეებს, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებმა შეძლეს რაციონალური, კოლექტიური თამაშის ორგანიზება, ბრაზილიელთა ყოველ შეტევას მოსდევდა სწრაფი, გააზრებული კონტრიერიში და თუ სახიფათო მომენტებზე ვილაპარაკებთ, ისინი საკმარისი რაოდენობით შეიქმნა როგორც ერთ, ისე მეორე კართან.

უკვე პირველ წუთებზე დასაევმა ზიკოს უძნელესი ბურთი აილო, შემდეგ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს ბლოხინმა და ბალმა, თავით დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა ? კარს.

მომდევნო პერიოდში დასაევმა კვლავ აილო ძნელი ბურთები ჟუნიორისგან, სერჟინიოსგან, მაგრამ ერთ-ერთი კონტრშეტევისას, მე-15 წუთზე, ბრაზილიელთა მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე წააქციეს შენგელია, მსაჯმა კი მიიჩნია, რომ წესრიგის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელები დიდი ოსტატობით ასრულებდნენ ცალკეულ ტექნიკურ ილეთებს, მაგრამ გადამწყვეტ

სსრ კავშირი — ბრაზილია

მომენტებში არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

33-ე წუთზე ბურთი შუა მინდორში ტრიალებდა. იგი გადასცეს ბალს, მან შორი მანძილიდან მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა, მეკარე ვალდირ პერესი აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა და ვერ შეძლო დარტყმის მოგერიება — 1:0. ტაიმის დასასრულს ბესონოვს მიეცა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ეს მომენტი მან ვერ გამოიყენა — ბურთი აცდა მიზანს.

ბრაზილიელები აგებდნენ. არგენტინელთა მარცხის შემდეგ ეს, შეიძლება, მეორე სენსაცია ყოფილიყო მიმდინარე ჩემპიონატში, ამიტომ მეორე ტაიმში მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობები ჩააქსოვეს თამაშში. ისინი უტევდნენ მძლავრად, მაღალ ტემპში, შეუჩერებლად, ყოველ საიერიშო კომბინაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები და მცველებიც. მწვრთნელმა ტ. სანტანამ მეორე ტაიმში მინდორზე გამოიყვანა პაულო ისიდორო, რომელმაც საგრძნობი გამოცოცხლება შეიტანა თავისი გუნდის თამაშში და განსაკუთრებით — შეტევაში (ცვლილებები მოხდა საბჭოთა გუნდშიც — მინდორზე გამოვიდნენ სუსლოპაროვი და ანდრეევი). მრავალი ცდისა და უნაყოფო იერიშის შემდეგ ბრაზილიელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს: ჯერ სოკრატესმა 73-ე წუთზე შორი მანძილიდან უზუსტესი გოლი გაიტანა, ხოლო 88-ე წუთზე ედერმა კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და მეორედ აილო დასაევის კარი. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელთა ამ ორი გოლის ინტერვალში შენგელიამ ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ მსაჯებმა მისი მდგომარეობა თამაშგარედ მიიჩნიეს.

მატჩი მოიგო ბრაზილიის ნაკრებმა — 2:1, რომელმაც მეორე ტაიმში უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ამ მატჩში ღირსეულ მეტოქედ გამოიყურებოდნენ, აღსანიშნავია მათი მაღალი საბრძოლო თვისებები, კოლექტივიზმი, ცალკეული რგოლების კარგი ურთიერთმოქმედება.

ჩვენს გუნდს ჩემპიონატის შემდგომი მატჩი 19 ივნისს აქვს მალაგაში ახალი ზელანდიის ნაკრებთან.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ბურთისთვის იბრძვიან ა. ჩივაძე (მარჯვნივ) და ბრაზილიელი ზიკო; **ქვევით** — მატჩის ეპიზოდი. მარჯვნიდან — რ. დასაევი, ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე და ვ. ბესონოვი.

აპ-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

● ●

შეხვედრა, რომელმაც აღტაცება გამოიწვია

მატჩის შემდეგ

„ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, რომელიც ოდესმე მინახავს მსოფლიო ჩემპიონატებზე", — განაცხადა სამგზის მსოფლიო ჩემპიონების მწვრთნელმა ტ. სანტანამ ბრაზილიისა და საბჭოთა გუნდების მატჩის შემდეგ. — ეს იყო შესანიშნავი, მაგრამ ძნელი თამაში ორივე ნაკრებისთვის. საბჭოთა გუნდი საუკეთესო ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ეჭვიც არ მეპარება, რომ მასთან ჩვენი შეხვედრა ქვეჯგუფში გადამწყვეტი იყო".

სანტანას ჰკითხეს, რას იტყოდა ესპანელი მსაჯის ლ. კასტილიოს დუმილზე, როცა ბრაზილიელებმა საჯარიმო მოედანზე მოცელეს რ. შენგელია. პასუხი დიპლომატიური იყო: „მე უფლება არა მაქვს მსაჯების საქმეში ჩავერიო". წარსულში ცნობილმა საბჭოთა ფეხბურთელმა ვ. პონედელნიკმა კი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს ესწრება როგორც „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი, უყოყმანოდ თქვა, რომ თერთმეტმეტრიანი გარდაუვალი იყო. მისი აზრი გაიზიარა ცნობილმა პორტუგალიელმა ეისებიომ, დი სტეფანომ კი კასტილიოს მოქმედებას „ფატალური" უწოდა. „მან ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო არ დანიშნა სამი პენალტი: ერთი — საბჭოთა ნაკრების, ორიც — ბრაზილიელების კარში".

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ჯ. კოუტინიოს ესპანეთის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში არ დაუმალავს, რომ მისმა ნაკრებმა ერთობ საინტერესო მატჩი გამართა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან.

ცნობილი პელე, რომელიც ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ტელეკომენტატორია, მეტად კმაყოფილი იყო თამაშით. მან თანაბრად შეაქო „შესანიშნავი სპექტაკლის 22 შემსრულებელი", ამასთან გააკრიტიკა ბრაზილიელთა დაცვა, რომელმაც მეტოქის დაწოლას ვერ გაუძლო და პირველ ტაიმში საკმაოდ ხშირად უშვებდა შეცდომებს. აღნიშნა საბჭოთა ფეხბურთელების თამაშის მაღალი კლასი.

მატჩის დამთავრების შემდეგ ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა განაცხადა, რომ იგი „გულწრფელად კმაყოფილია ორივე გუნდის თამაშით".

ახლა ფეხბურთელებსაც მოვუსმინოთ. აი, რა უთხრეს მათ ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს.

ზიკო: „უნდა ვაღიარო, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაყენეს და გამარჯვება რის ვაი-ვაგლახით მოვიპოვეთ".

სოკრატესი (ბრაზილიის გუნდის კაპიტანი): „ჩვენ ყველა საშუალება ვიხმარეთ იმისათვის, რომ თამაში ჩვენ სასარგებლოდ შემოგვებრუნებინა".

ჩივაძე (საბჭოთა ნაკრების კაპიტანი): „თითქმის ბოლომდე კარგად ვითამაშეთ. მაგრამ ბრაზილიის ნაკრები მართლაც, დამსახურებულად ატარებს ამ ჩემპიონატის ნომერ პირველი ფავორიტის სახელს".

„ჩვენ არ გვეგონა ისინი ასე შესანიშნავად თუ თამაშობდნენ", „საბჭოთა სპორტსმენები მინდორზე გამოვიდნენ ისე, როგორც სწორი — სწორთან და მართლაც, ბრაზილიელებს არაფერში ჩამორჩებოდნენ". ასეთია პერუელი სპორტული კომენტატორების აზრი. ისინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა სპორტსმენების სიდინჯეს დაცვაში და სიზუსტეს გადაცემებში. არ მალავენ, რომ თუ შესვენებამდე მინდორზე ძალაუფლება საბჭოთა ფეხბურთელებს ეპყრათ, მეორე ტაიმში იგი ხელიდან გაუშვეს — ძლიერი სიცხის გამო დაიღალნენ.

ბრაზილიელთა გამარჯვებამ, როგორც ერთხმად აღიარებენ სპორტული მიმომხილველები, დაადასტურა მათი მსოფლიო პირველობის ფავორიტობის სტატუსი. ის, რომ მათ შეუძლიათ მეოთხედ მოიპოვონ მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

(საკდესი.)

დღეს ტელევიზიით

დღეს საქართველოს ტელევიზიით (I პროგრამა) ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან ვნახავთ შემდეგ გადაცემებს:

9 ს. 45 წ. შოტლანდია — ახალი ზელანდია (გამეორება).

20 ს. 15 წ. ინგლისი — საფრანგეთი.

22 ს. 35 წ. საფეხბურთო მიმოხილვა.

23 ს. 20 წ. გფრ — ალჟირი (II ტაიმი).

გულშემატკივრებს გაახარებს

კიდევ ერთი საინტერესო საჩუქარი მიიღეს ფეხბურთის მოყვარულებმა. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოპოლიგრაფსტუდიამ (დირექტორი კ. მგალობლიშვილი) 50 ათასი ტირაჟით გამოუშვა მსოფლიოს XII ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ფერადი პლაკატი.

აქ გრაფიკულად მოცემულია გათამაშების მატჩების კალენდარი, ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების დროშებისა და მადრიდის მთავარი მოედნის რეპროდუქციები, ესპანეთის რუკა საასპარეზო ქალაქების მინიშვნით, მსოფლიო პირველობის ემბლემებისა და ოქროს თასის გამოსახულება და ა. შ.

ყოველივე ეს შესრულებულია მაღალი გემოვნებით (მხატვრები ზ. კაპანაძე და ა. მანაშეროვი), მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, კარგ ქაღალდზე.

პლაკატის ფასია 50 კაპ.



ESPAÑA 82 ESPAÑA 82 ESPAÑA 82

საპატიო მეორე ადგილზე

დასასრული

ნაკრების წევრ ვ. გარდტს. ამ კლასში მეექვსე იყო თ. ხაჩიძე. ნ. ტრუხოვს (რსფსრ) ბადალი არ ჰყავდა „ზილ-130“ კლასის მანქანებით შეჯიბრებაში.

საინტერესო გამოდგა ყველაზე დიდი მანქანებით — „კამაზ“-ებით შეჯიბრება. აქ ყველაზე საზრიანი და მოხერხებული აღმოჩნდა ვ. დემიშკანი (უკრაინა). საქართველოს გუნდის წევრს ა. ლარინს წილად ხვდა მეექვსე ადგილი.

ჩემპიონატის ბოლო დღის წინ საქართველოს ნაკრებმა (გუნდის უფროსი გ. დარსაველიძე, უფროსი მწვრთნელი ვ. სავიცკი) ოთხი მედალი მოიპოვა და მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

კვირას გაიმართა კონკურსის დასკვნითი შეჯიბრება — ავტოესტაფეტა. საქართველოს სპორტსმენთა წარმატებამ (ლ. სმირნოვა, რ. მაისურაძე, თ. დეკანოიძე, ა. ელიავა, ჩ. გაზაევი, ა. ლარინი, მ. შჩუკინი, ჯ. მაძღარაშვილი, თ. ხაჩიძე, ა. ნატრაძე, ა. აბდულაევი) მოლოდინს გადააჭარბა — ყველაზე მეტი — 2905 ქულა მოაგროვეს, რამაც გადაწყვიტა კიდევაც საერთო გუნდურ ჩათვლაში მათი კიდევ ერთი საფეხურით დაწინაურების საკითხი. საბოლოოდ რსფსრ-ს ავტომობილისტებმა 62837 ქულა მოაგროვეს, საქართველოს სპორტსმენებმა — 40370, უზბეკეთის ავტომობილისტებმა — 40207.

ტურნირმა დაგვანახა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად ამაღლდა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ტრანსპორტის შოფერების პროფესიული მომზადების დონე.

საკავშირო კონკურსის დამთავრებას მიეძღვნა საღამო, რომელიც რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სასახლეში გაიმართა. აქვე მოეწყო პრიზიორთა დაჯილდოება. დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური ჯილდო. გაზეთ „ლელოს“ პრიზი — „შეჯიბრების ყველაზე უხუცეს მონაწილეს“ გადაეცა 49 წლის ლიტველ ტაქსისტს ბრონისლავ გრიგალიუსს.

რ. გაბრიელიძე.

• • •

სურათებზე: ე. აბდულაევი; „გამოცდას“ აბარებს რ. მაისურაძე.

ავტორის ფოტოები.



ჩინეთში, საერთაშორისო შეჯიბრებაზე

გუშინ პეკინში მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა საბჭოთა სპორტსმენების ერთი ჯგუფი — ოლიმპიური ჩემპიონების ტ. კაზანკინას, ვ. კომისოვას, ი. უუდმიაიეს და მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ქ. ვოლკოვის შემადგენლობით.

ასპარეზობა, რომელშიც გამოვლენ ევროპის, აზიისა და ამერიკის ცნობილი სპორტსმენები, გაიმართება „გუნჟენის“ 80000 ადგილიან სტადიონზე.

„ჟენმინ ჟიბაო“ და სპორტული გაზეთი „ტიიუი ბოა“ საბჭოთა მძლეოსნების შესახებ ბეჭდავენ დაწვრილებით ცნობებს. „საბჭოთა გუნდი, — იტყობინება „ჟენმინ ჟიბაო“, — მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. საბჭოთა ათლეტები მიეკუთვნებიან მსოფლიო ელიტას“.

პეკინის აეროდრომზე საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხუნლინი და სპორტკომიტეტის წარმომადგენლები.

ბოლო 16 წლის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები პეკინში პირველად იასპარეზებენ.

(საკდესი).

● ჭადრაკი

უშეღავათო ბრძოლაში

კისლოვოდსკში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდებს შორის. როგორც ვიუწყებოდით, თასს დაეუფლა „ტრუდის“ გუნდი. მის შემადგენლობაში 7 დიდოსტატი იყო.

აი, რა უამბო „ლელოს“ კორესპონდენტს თბილისელმა დიდოსტატმა ე. გუფელდმა („დინამო“):

— თასის გათამაშებაში 41 დიდოსტატი და 20-ზე მეტი ოსტატი მონაწილეობდა. არ იყვნენ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ბ. სპასკი, დიდოსტატები ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი. საჭადრაკო ოლიმპიადებზეც კი ვერ ნახავთ გუნდების ასეთ ძლიერ შემადგენლობას. ცხადია, დიდ ინტერესს იწვევდა გამოჩენილ მოჭადრაკეთა პირადი შეხვედრები.

უნდა ითქვას, რომ თითოეულ დაფაზე უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო პაექრობა მერვე დაფაზე — მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატ ქალთა შორის.

დაძაბულ ბრძოლაში I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა (შეიარაღებული ძალები) — 5,5 ქულა 7-დან. II-III ადგილები გაიყვეს მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ („დინამო“) და მარტა ლიტინსკაიამ („ტრუდი“) — 4-4. ნანა ალექსანდრიამ („ბურევესტნიკი“) 3,5 ქულა მოაგროვა. პირად შეხვედრებში გაფრინდაშვილმა მოუგო ჩიბურდანიძეს, ჩიბურდანიძემ — ალექსანდრიას, ალექსანდრიამ — გაფრინდაშვილს.

ქართველი მოჭადრაკეები 6 გუნდის (8-დან) ღირსებას იცავდნენ. მათი შედეგები: ბუხუტი გურგენიძე („უროჟაი“) — 2 ქულა 6-დან, ზურაბ აზმაიფარაშვილი („დინამო“) — 3, ელიზბარ უბილავა („დინამო“) — 3, თამარ ხუგაშვილი („ზენიტი“) — 4 (7-დან). ქართველი დიდოსტატი არ იყო სპორტულ ფორმაში, მაგრამ მაინც ჩინებული სტილით სძლია სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს იუსუპოვს. ოსტატმა ქალმა კი დაამარცხა დიდოსტატი ზატულოვსკაია.

ამას გუნდის ინტერესები მოითხოვდა, რომ სათადარიგო დაფაზე გამოვსულიყავი. კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი გამარჯვება ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონ ფსახისთან შეხვედრაში...

აი, დაფებზე გამარჯვებულნი: პირველზე — ლ. პოლუგაევსკი („ლოკომოტივი“) — 5,5 ქულა, მეორეზე — ო. რომანიშინი („ტრუდი“) — 5,5, მესამეზე — ვ. ცეშკოვსკი („ტრუდი“) — 5, მეოთხეზე — ს. დოლმატოვი („ბურევესტნიკი“) — 5, მეხუთეზე — ვ. ჩეხოვი („ლოკომოტივი“) — 6, მეექვსეზე — ა. ჩერნინი („ბურევესტნიკი“) — 3 ქულა 4-დან, მეშვიდეზე — ა. სოკოლოვი („ტრუდი“) — 5,5, მეცხრეზე — ე. ახმილოვსკაია („ბურევესტნიკი“) — 5,5, მეათეზე — ე. ხოროვეცი („ბურევესტნიკი“) — 6, სათადარიგოზე — ე. გუფელდი — 4,5 (6-დან).

თ. ნინოშვილი.

ექვსი მონაწილე დარჩა

იტალიის ქალაქ ტურინის მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 6 მონაწილეა დარჩა — ავადმყოფობის გამო ასპარეზობას გამოეთიშა ჰიუბნერი, თუმცა ლიუბოევიჩთან გადადებული პარტია მაინც დაასრულა (მეტოქენი ყაიმს დასჯერდნენ), IX ტურის პარტიას კი იგი აღარ ითამაშებს და ამ შეხვედრაში ისე, როგორც სხვა პარტიებში წაგება ჩაეთვლება.

სხვა გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: პორტიში დანებდა სპასკის, ანდერსონი დაუზავდა კარპოვსა და პორტიშს. პორტიშ — კავალეკის პარტია კვლავ გადაიდო.

8 ტურის შემდეგ სპასკისა და ანდერსონს 4-4 ქულა აქვთ (7-დან). კარპოვსა და ჰიუბნერს — 3,5-3,5. ლიუბოევიჩს — 3(6-დან), პორტიშს და კავალეკს — 2,5-2,5 და თითო გადადებული პარტია (შვიდი შეხვედრიდან). (საკდესი).

● საქართველოს ჩემპიონატი მეკლდეურობაში

მიხეილ ხერგიანის ხსოვნას მიეძღვნა

მესტიის რაიონში გაიმართა საქართველოს მეკლდეურეთა ჩემპიონატი, რომელიც მ. ხერგიანის ხსოვნას მიეძღვნა.

პარადოქსია, მაგრამ მესტიის მახლობლად არ აღმოჩნდა ჩემპიონატის ჩატარების პირობებისთვის შესაფერისი კლდეები. თუმცა, ადგილობრივმა მეკლდეურებმა სავარჯიშოდ, გზის გაყვანისა და კლდეების გაწმენდის შემდეგ, შეიძლება ლეღზირის მყინვარის მახლობლად მდებარე პიტალოები გამოიყენონ.

ამჯერად ჩემპიონატისთვის 200 მეტრის სიმაღლის კლდეები მესტიიდან 62 კმ-ის მოშორებით მოვძებნეთ.

შთამბეჭდავი იყო მესტიელი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ზინა ჭკადუას გამოსვლა. წყვილთა გარბენში მან უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ჭკადუა (მწვრთნელი ა. ნავერიანი) მულახის ი. გაბლიანის სახელობის სპორტული სკოლის (დირექტორი ჯ. დევდარიანი) აღზრდილია. უნდა ითქვას რომ ამ სკოლამ უკანასკნელ წლებში მრავალი კარგი მეკლდეური მოგვცა.

წყვილ ქალთა გარბენში მეორე იყო საქართველოს ჩემპიონი და საკავშირო პირველობის პრიზიორი, ქარელის საშუალო სკოლის პედაგოგი იულია თურმანიშვილი, ხოლო მესამე — მესტიელი ოსტატობის კანდიდატი პერსპექტიული მეკლდეური ზოია მჭედლიანი.

ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი ზ. ქიტუაშვილი. მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ნ. დიდებულიძე (ორივე — თბილისი), ხოლო მესამეზე გ. უმფრიანი.

აღსანიშნავია, რომ გ. უმფრიანი ახლა თავის მეუღლესთან — მეკლდეურ ეთერ ქიტუაშვილთან ერთად, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხაიშის საშუალო სკოლაში მუშაობს და ამ შეჯიბრებაში გუნდიც კი გამოიყვანეს.

ინდივიდუალურ გარბენში ყველას აჯობა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა თამარ ქიტუაშვილმა. მეორე იყო იულია თურმანიშვილი, მესამე — ზოია მჭედლიანი.

ვაჟთა საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ნ. დიდებულიძე, გ. უმფრიანი, ა. ნავერიანი (მესტია).

როგორც ყოველთვის, ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია „დომბაის წყვილთა“ შეჯიბრებამ, სადაც თვალნათლივ ვლინდება მთამსვლური ტექნიკის ცოდნა. სამწუხაროდ აქ მხოლოდ ორ-ორმა წყვილმა შეძლო გამოსვლა. ქალთა შორის უძლიერესი იყო თ. ქიტუაშვილ — მ. შამანაურის, ვაჟებში ნ. დიდებულიძე — ზ. ქიტუაშვილის წყვილები.

მრავალჭიდში გაიმარჯვეს თ. ქიტუაშვილმა და ნ. დიდებულიძემ.

გუნდურ პირველობაში უძლიერესი იყო თბილისის ნაკრები. მეორე ადგილზე გავიდა მესტიის I გუნდი, ხოლო მესამეზე—მესტიის II ნაკრები.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირულ და სპორტულ კომიტეტებს.

შეჯიბრების შემაჯამებელ სალამოზე ითქვა იმ ხელისშემშლელ მიზეზებზე, რაც აფერხებს მეკლდეურეობის განვითარებას მესტიის რაიონში. ძირითადად ეს არის მთამსვლური საჭურველის უქონლობა, აგრეთვე ზამთრის პერიოდში ცუდი პირობები მეკლდეურეთა (და მთამსვლელთა) საერთო ფიზიკური მომზადებისთვის.

მესტიაში ამ მიზნით ცუდად იყენებენ სათხილამურო სპორტს. აქ სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის კარგი ბუნებრივი პირობებია, მაგრამ საბაგირო გზების მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა.

ისიც ითქვა, რომ წლების განმავლობაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში არ არის მიღება მთამსვლელობის სპეციალობაზე, რის გამოც აქაურ სპორტსმენებს სხვა რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებისაკენ უჭირავთ თვალი.

დ. გოზალიშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სამყარო

გაძლებს თუ არა რეკორდები?

აი, უკვე 14 წელია მსოფლიო რეკორდების ცხრილში მყარად დგას 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის 3 მიღწევა: 9,95 წამი 100 მეტრზე რბენაში, 43,86 — 400 მეტრზე ასპარეზობაში და 890 სმ სიგრძეზე ხტომაში. ორი მათგანის გაუმჯობესებას სერიოზულად ფიქრობს ამერიკელი ზანგი მძლეოსანი კ. ლიუისი, რომელმაც 100 მეტრი 10 წამში გაირბინა და 863 სმ გადახტა. როგორც თვითონ ლიუისი ფიქრობს, სულ მალე იგი 100 მეტრს 9,9 წამში გაირბენს და 910 სმ სიგრძეზე გადახტება. დაველოდოთ როდის შეასრულებს იგი დანაპირებს.

ეროვნული ლიგის საპატიო ნადავლი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდო საუკეთესო ბომბარდირისა, წლეულს უ. გრეტცკის გადაეცა. ეს ჯილდო ყოველწლიურად მიეკუთვნება ეროვნული ლიგის ყველაზე ერთგულ ჰოკეისტს, რომელსაც წილისყრით თვითონ ჰოკეისტები ასახელებენ. წლეულს გრეტცკი თითქმის ერთხმად აღიარეს ჯილდოს ერთადერთ მფლობელად, რის მსგავსი ამ პრიზის ისტორიას არ ახსოვს. მაგრამ გრეტცკიმ ეს დაიმსახურა: იგი შესანიშნავად თამაშობდა კანადის თასზე, ეროვნული ლიგის ჩემპიონატში და ჰელსინკის მსოფლიო პირველობაზე.

მსაჯს არ ეკამათებიან

ჭეშმარიტი სპორტსმენები არასოდეს არ კამათობენ მსაჯთან, მაგრამ ჩრდილო ამერიკის პროფესიონალ ჰოკეისტებს დაავიწყდათ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება: ჰოკეის ეროვნული ლიგის სტენლის თასის გათამაშებისას „ვანკუვერ კანუკსის“ გუნდის მწვრთნელმა რ. ნილსონმა თავი ვერ შეიკავა და ერთ-ერთი მატჩის დროს პროტესტის ნიშნად მოედანზე გადააგდო... პირსახოცი. მწვრთნელის ასეთი საქციელისთვის გუნდი 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-98; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08328